ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №34

29.01.2019 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

14:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე, გიორგი დოხტურიშვილი, ლევან ჟორჟოლიანი, ლევან ხაბეიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **დავით უთმელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **ოთარ გრიგოლია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **ვახტანგ შაქარიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **გიორგი ბაგრატიონი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი;
2. **გიორგი კიკვიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის წარმომადგენელი;
3. **დავით კვინიკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობის მოადგილე;
4. **სოფო დოღონაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი;
5. **ნოდარ რაზმაძე** - შპს „ჰერმესის“ დირექტორი;
6. **ვახტანგ ლომჯარია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორი;
7. **ნიკოლოზ ქობულაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
8. **ლევან მამალაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;

9. **ნიკოლოზ გურგენიძე** - ქალაქ თბილისის, ვაკის რაიონის, სოფელი თხინვალას მიმდებარე დასახლების მაცხოვრებელთა წარმომადგენელი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, სოფელ თხინვალაში არსებული მუნიციპალური სასაფლაოს მიმდებარედ, სარეკრეაციო ზონაში, თვითნებურად (უნებართვოდ) მოწყობილი სასაფლაოების პრობლემის შესახებ

/მომხსენებელი: შპს „ჰერმესის" წარმომადგენელი
თანამომხსენებლები: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის წარმომადგენელი;
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობის წარმომადგენელი;
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი/

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს" მიერ 2018 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიშის შესახებ

/მომხსენებელი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორი/

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, სოფელ თხინვალაში არსებული მუნიციპალური სასაფლაოს მიმდებარედ, სარეკრეაციო ზონაში, თვითნებურად (უნებართვოდ) მოწყობილი სასაფლაოების პრობლემის შესახებ

მომხსენებლის და თანამომხსენებლების მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე ინფორმაციის წარმოდგენამდე, კომისიის წევრმა, ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ, დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია, რომლის თანახმად, ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, სოფელ თხინვალაში არსებული მუნიციპალური სასაფლაოს (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №72.16.15.321) მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე, ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონაში თვითნებურად მოწყობილი სასაფლაოების პრობლემის შესახებ ბ-ნი ლ. ჯაფარიძისთვის ცნობილი გახდა 2018 წლის ოქტომბრის თვიდან, წინასაარჩევნო პერიოდში, მოსახლეობასთან შეხვედრისას. როგორც მოსახლეობამ აღნიშნა, ე.წ. „ლტოლვითა დასახლების" მაცხოვრებლები თვითნებურად ასაფლავებენ მიცვალებულებს ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონაში, აქტიურად გამწვანებულ ტერიტორიაზე. მოსახლეობამ მიმართა როგორც შპს „ჰერმესს", ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას. თუმცა, იმის გამო, რომ ტერიტორია არ შედის შპს „ჰერმესის" დაქვემდებარებაში, ხოლო უკანონო საფლავების მოწყობისთვის შესაბამისი ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ სამართლებრივი რეგულაციები არ არსებობს, ვერც შპს „ჰერმესმა" და ვერც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურმა ინსპექციამ პრობლემა დამოუკიდებლად ვერ მოაგვარა. ვაკის რაიონის გამგებლისა და საკრებულოს წევრების მიერ მოსახლეობისთვის მიცემული პირობის თანახმად, აღნიშნული პრობლემა აუცილებლად უნდა მოგვარდეს. შესაბამისად, მიმდინარე სხდომაზე მოწვეულნი არიან ქალაქ თბილისის მერიის შესაბამისი საქალაქო სამსახურების, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობისა და შპს „ჰერმესის" წარმომადგენლები, რათა ერთობლივად იქნას მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილება პრობლემის დროულად მოგვარების მიზნით.

მომხსენებლის, შპს „ჰერმესის" დირექტორის, ბ-ნი ნ. რაზმაძის მიერ ww.tas.ge-ს ინტერაქტიული რუკის მეშვეობით ნაჩვენები იქნა როგორც ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, სოფელ თხინვალაში არსებული მუნიციპალური სასაფლაოს (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №72.16.15.321) არეალი, ასევე, აღნიშნული სასაფლაოს მიმდებარედ არსებული ის ტერიტორია, სადაც საფლავები თვითნებურად არის მოწყობილი.

ბ-ნი ნ. რაზმაძის ინფორმაციით, ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, სოფელ თხინვალაში არსებული მუნიციპალური სასაფლაო (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №72.16.15.321) წარმოადგენს სოფლის ტიპის სასაფლაოს, რომლითაც სარგებლობს სოფ. თხინვალას მოსახლეობა. მიმდებარედ, მუნიციპალური სასაფლაოს წითელი ხაზების გარეთ, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, ე.წ. „ლტოლვილების დასახლების" მაცხოვრებლების მიერ თვითნებურად ხდება გარდაცვლილი ადამიანების დაკრძალვა. იმის გამო, რომ ტერიტორიაზე ვრცელდება ლანდშაფტურ-სარეკრეციო ზონა, ფუნქციური ზონის ცვლილების გარეშე, ვერ განხორციელდება ტერიტორიის შპს „ჰერმესისთვის" გადაცემა.

შეკითხვა დასვა ბ-ნმა რ. სოხაძემ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე), რომელიც დაინტერესდა შპს „ჰერმესის" დაქვემდებარებაში სოფ. თხინვალას სასაფლაოს

გადმოცემისა და ტერიტორიაზე ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელების საკითხით.

ბ-ნმა ნ. რაზმაძემ განმარტა, რომ საკრებულოს 2014 წლის სამართლებრივი აქტით (დადგენილებით) შპს „ჰერმესს“ მმართველობაში გადაეცა სოფელ თხივნალას ტერიტორიაზე არსებული სასაფლაო. თუმცა, გარკვეული მიზეზებიდან გამომდინარე, შპს „ჰერმესი“ სრულფასოვნად ვერ ახორციელებს ადმინისტრაციულ მმართველობას (ვერ აწესებს და იღებს სარიტუალო მომსახურების საფასურს). „ჰერმესის“ მიერ, სოფელ თხინვალას მაცხოვრებლებიდან, დანიშნული იყო სასაფლაოს ტერიტორიის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი (წარმომადგენელი). თუმცა, იმის გამო, რომ სოფლის მაცხოვრებლებთან კონფლიქტი მოუვიდა, სამსახურიდან წავიდა. კონფლიქტის მიზეზად დასახელდა სოფლის მაცხოვრებლების მხრიდან სხვა ტერიტორიის მაცხოვრებლების მიერ მიცვალებულების სასაფლაოზე დაკრძალვის აკრძალვა.

შეკითხვა დასვა:

ბ-ნმა გ. ტყემალაძემ - სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე თვითნებურად საფლავების მოწყობის პრობლემის წარმოშობის პერიოდის შესახებ.

ბ-ნი ნ. რაზმაძის განმარტებით, პრობლემა დიდი ხანია რაც არსებობს.

აზრი გამოთქვა:

ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ დღის წესრიგში დგას რამდენიმე პრობლემა, პირველი, ის, რომ შპს „ჰერმესის“ მიერ დანიშნული იყო სოფლის წარმომადგენელი, რომელიც იცავდა სასაფლაოს ტერიტორიას. თუმცა, იმის გამო, რომ სოფლის მოსახლეობა უფლებას არ აძლევდა მიმდებარე ტერიტორიის მაცხოვრებლებს დაეკრძალათ გარდაცვლილი სასაფლაოზე, კონფლიქტი მოუვიდა და უარი თქვა სამსახურზე; მეორე პრობლემა - სოფლის მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო, მიმდებარედ არსებული ე.წ. „ლტოლვილთა დასახლების“ მაცხოვრებლები შეუსაბამო ტერიტორიაზე თვითნებურად ასაფლავებენ მიცვალებულებს; მესამე - ამ ეტაპზე შპს „ჰერმესი“ ვერც სასაფლაოს ტერიტორიას და ვერც მის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთს, ვერ აკონტროლებს. მეოთხე პრობლემა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია ვერ აგვარებს პრობლემას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ასევე დღის წესრიგში დგას ის საკითხიც, რომ საფლავების თვითნებური მოწყობა არ გაგრძელდეს და არ მოიცვას ტერიტორიის ზედა ნაწილი, სადაც გაშენებულია მწვანე-ნარგავები (ტყე).

პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა დროულად გაირკვეს ტერიტორიისათვის ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხი, რომელსაც სჭირდება სსიპ ქონების მართვის სააგენტოს პოზიციის დაფიქსირება და ტერიტორიის შპს „ჰერმესისთვის“ გადაცემა.

ბ-ნმა ნ. რაზმაძემ აღნიშნა, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტოს პოზიცია ცნობილია და სააგენტო მიზანშეუწონლად მიიჩნევს ფუნქციური ზონის ცვლილებას უკანონოდ დაკავებული მიწის ნაკვეთების დაკანონების მიზნით.

ბ-ნმა დ. უთმელიძემ (საკრებულოს წევრი) ისაუბრა ქ. თბილისში ლისის ტბის მიმდებარედ არსებულ კერძო მიწის ნაკვეთზე, მესაკუთრის თანხმობის გარეშე, ასევე თვითნებურად მოწყობილი სასაფლაოს საკითხთან დაკავშირებით. ბ-ნი დ. უთმელიძის განმარტებით, მიუხედავად შექმნილი რთული ვითარებისა, ქალაქის ხელმძღვანელობამ პრობლემის მოსაგვარებლად აირჩია ადგილმონაცვლეობის პრინციპის გამოყენებისა და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების (ტერიტორიისთვის შესაბამისი ფუნქციური ზონის მინიჭება და შპს „ჰერმესის" მმართველობაში გადაცემა) გატარების გზა.

ბ-ნი დ. უთმელიძის წინადადებით, შესაძლებელია საკითხის გადაწყვეტა, რისთვისაც საჭიროა ფუნქციური ზონის შეცვლა ფაქტობრივი (რეალური) მდგომარეობის გათვალისწინებით და შემდეგ, მიწის ნაკვეთის თხინვლას მუნიციპალური სასაფლაოს საზღვრებში მოქცევა ერთიანი საკადასტრო კოდის მინიჭებით. იმ შემთხვევაში, თუ საჭირო იქნება დამატებითი ფინანსური და მატერიალური სახსრების გამოყოფა, საკრებულომ, კომპეტენციის ფარგლებში, უნდა განახორციელოს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები.

შეკითხვა დასვა ბ-ნმა გ. დოხტურიშვილმა მოქმედი სასაფლაოს რესურსის, ასევე, თვითნებურად გაჭრილი საფლავების სავარაუდო ფართობის თაობაზე.

ბ-ნი ნ. რაზმაძის განმარტებით, საფლავებისთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთების სიმცირის გამო, დარჩენილია მხოლოდ ექვსი თვის რესურსი. ხოლო მისი ამოწურვის შემდეგ, არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ერთადერთი გამოსავალია, 15 წლის ხანდაზმულობის მქონე საფლავებზე ზემოდან დაკრძალვა. რაც შეეხება თვითნებურად მოწყობილი საფლავების სავარაუდო ფართობს, დაახლოებით 100-150 კვ.მ-ს შეადგენს.

აზრი გამოთქვა, ბ-ნმა დ. უთმელიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ თვითნებურად (უკანონოდ) საფლავების გაჭრა არ შეჩერდება, თუ შესაბამისი ზომები არ იქნება მიღებული, რასაც ბ-ნი ნ. რაზმაძე დაეთანხმა (მისი აზრით, თუ მუნიციპალური ინსპექცია არ მიიღებს შესაბამის ზომებს, პროცესი არ შეჩერდება).

ქალაქ თბილისის, ვაკის რაიონის, სოფელი თხინვალას მიმდებარე დასახლების მაცხოვრებელთა წარმომადგენელმა ბ-ნმა ნ. გურგენიძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო შექმნილი ვითარება. კერძოდ, უნებართვო საფლავების გაჭრისას ზიანდება და ნადგურდება ტერიტორიაზე არსებული მრავალწლოვანი წიწვოვანი ხე-ნარგავები. ძირითადად, საფლავების გაჭრა ხდება ღამით, რის გამოც რთულია დამნაშავის გამოვლენა.

მოსახლეობამ დახმარებისთვის რამდენჯერმე მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას, მაგრამ პროცესი კვლავ გრძელდება.

ბ-ნმა გ. ბაგრატიონმა (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი) აღნიშნა, რომ შეტყობინებების მიუხედავად, ადგილზე ვითარების გადამოწმებისას ხეების უკანონო ჭრის ფაქტები არ დადასტურდა. ინსპექციის თანამშრომლები სისტემატიურად ახორციელებენ პატრულირებას მთელი ქალაქის

მასშტაბით, მათ შორის აღნიშნულ ტერიტორიაზე და სამართალდარღვევის გამოვლენისას ოპერატიულად რეაგირებენ.

ბ-ნმა გიორგი კიკვიძემ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის წარმომადგენელი) დამატებით ისაუბრა იმ გარემოებებზე, რომელიც საფლავების თვითნებურად მოწყობას შეეხება და აღნიშნა, ერთადერთი კანონიერი ქმედება, რაც შესაძლებელია მუნიციპალურმა ინსპექციამ განახორციელოს ასეთ შემთხვევაში, არის უკანონო მშენებლობის გამოვლენა-აღკვეთა და კანონმდებლობით ინსპექციისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ადმინისტრაციული სახდელის - ჯარიმის დაწესება 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარის ოდენობით. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, საჭიროა გამოვლინდეს სამართალდამრღვევი. მუნიციპალურმა ინსპექციამ დახმარებისთვის მიმართა საპატრულო და კრიმინალურ პოლიციას, მაგრამ ვერც მათი დახმარებით გამოვლინდნენ დამნაშავე პირები. გარდა სამართლებრივი მხარის, არის ადამიანური ფაქტორიც, საკმაოდ რთულია ჭირისუფალთან მისვლა და მისი დაჯარიმება, მით უმეტეს, რომ ასეთ კონკრეტულ შემთხვევებში, ქმედების განმახორციელებელი არა ჭირისუფალი, არამედ ის სუბიექტია, ვინც განახორციელა უკანონო მშენებლობა (საფლავების გაჭრა).

აზრი გამოთქვეს:

ბ-ნმა ლ. ხაბეიშვილმა, რომელმაც ისაუბრა როგორც შპს „ჰერმესის“ ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის პასუხისმგებლობაზე. ასევე, აღნიშნა, მიუხედავად შპს „ჰერმესის“ განმარტებისა, თითქოს სოფ. თხინვალას სასაფლაოზე ხდება მიცვალებულების უფასოდ დაკრძალვა, ნაკლებად სავარაუდოა, რადგან ჭირისუფალი მაინც იხდის გარკვეულ საფასურს, თუნდაც საფლავის გაჭრისთვის.

ბ-ნი ლ. ხაბეიშვილი დაინტერესდა თუ რატომ ვერ ახორციელებს შპს „ჰერმესი“ სასაფლაოს ადმინისტრირებას; სოფ. თხინვალას მოსახლეობა რატომ თვითნებობს და არ აძლევს უფლებას სხვა, მიმდებარე ტერიტორიის მაცხოვრებლებს, დაკრძალონ მიცვალებულები.

დაბოლოს, ბ-ნი ლ. ხაბეიშვილის აზრით, საჭიროა დადგინდეს სასაფლაოს ტერიტორიის, მათ შორის, სასაფლაოებისთვის თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთების საზღვრები, შემდეგ შპს „ჰერმესმა“ უზრუნველყოს სასაფლაოს ტერიტორიის ადმინისტრირება და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის ტერიტორიის დაცვა.

საკრებულოსა და კომისიის წევრებმა (რ. სოხაძე, ვ. შაქარიშვილი, ლ. ჯაფარიძე, ლ. ჟორჟოლიანი) ასევე გამოთქვეს ვარაუდი, რომ, შესაძლოა, სოფლის სასაფლაოს არალეგალურად მართავდეს დაუდგენელი პირი ან პირთა ჯგუფი, რომლებსაც აღნიშნული საქმიანობა შემოსავლის წყაროდ აქვთ გადაქცეული. აქედან გამომდინარე, გამოსავალია, ჯერ გადაწყდეს სასაფლაოს გაფართოების, ასევე თვითნებურად მოწყობილი საფლავების მუნიციპალურ, სოფლის სასაფლაოსთან შეერთების საკითხი და ამის შემდეგ, შპს

„ჰერმესმა“ უზრუნველყოს სასაფლაოს ადმინისტრირება და ამ მიზნით, სოფლის მოსახლეობის ინფორმირება სასაფლაო და სარიტუალო მომსახურების საფასურის თაობაზე. აქვე, საჭიროა აღნიშნული საფასური იყოს ადეკვატური და მოსახლეობასთან შეთანხმდეს.

ბ-ნმა რ. სოხაძემ დამატებით აღნიშნა, რომ პრობლემა დიდი ხანია დგას, მაგრამ აქტუალობა შეიძინა მას შემდეგ, რაც მიმდებარე ტერიტორიების განაშენიანება დაიწყო. სოფ. თხინვალას მიმდებარედ, კერძო დასახლებებში მიმდინარეობს როგორც მრავალსართულიანი კორპუსების, ასევე აგარაკების ტიპის დასახლების მშენებლობა. შესაბამისად, თუ დროულად არ გადაწყდა საკითხი და პროცესი გაგრძელდა ახალი დასახლებების მიმართულებით, მწვავედ დადგება კერძო საკუთრების კანონიერი გამოყენებისა და ტერიტორიების განვითარების საკითხი.

ბატონმა გ. ტყემალაძემ ისაუბრა არსებული პრობლემის მოგვარების გზებისა და სოფ. თხინვალას მიმდებარედ არსებული ახალი დასახლებების თაობაზე. კერძოდ, იმის გათვალისწინებით, რომ სოფლის მოსახლეობა წინააღმდეგია, მიმდებარე ტერიტორიის მაცხოვრებლებმა ისარგებლონ სასაფლაოთი, რის გამოც მოხდა კონფლიქტი შპს „ჰერმესის“ მიერ დანიშნულ წარმომადგენელსა და სოფლის მაცხოვრებლებს შორის, პირველ რიგში, საჭიროა დადგინდეს კონკრეტულად ვისთან მოუვიდა კონფლიქტი სასაფლაოს ყოფილ დარაჯს. ასევე, აუცილებელია, განისაზღვროს სასაფლაოს ფორმა, საზღვრები და სტატუსი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, დღის წესრიგში დგას სასაფლაოს მწირი რესურსის პრობლემა და მისი გაფართოების ან ახალი სასაფლაოს მოწყობის საკითხიც.

ბ-ნმა ლ. ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება შემდეგი გარემობანი:

პირველი, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე თვითნებურად მოწყობილია საფლავები (სავარაუდო ფართობი: 100-150 კვ.მ.). პრობლემის გადასაწყვეტად მხოლოდ ორი გამოსავალია, ან მოხდეს მათი ლეგალიზება, ფუნქციური ზონის ცვლილებითა და მოქმედ სასაფლაოსთან გაერთიანების გზით, ან დარჩეს არსებული ვითარება ისე, როგორც არის. ამ შემთხვევაში, აუცილებელია საკითხის სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა.

მეორე, მენეჯმენტის გამართვა - მოქმედი ტერიტორია უმეთვალყურეოდ არის დატოვებული და აუცილებელია შპს „ჰერმესმა“ ტერიტორიაზე მოაწყოს ადმინისტრაციული შენობა, დაადგინოს (შემოსაზღვროს) სასაფლაოს ტერიტორია და მიუჩინოს მეთვალყურე (დარაჯი).

მესამე, ზემოაღნიშნული პროცედურების განხორციელების შემდეგ, აუცილებელია დაიწყოს მოსახლეობასთან აქტიური მოლაპარაკებები და დაწესდეს სასაფლაოებისა და სარიტუალო მომსახურების საფასური, რაც არალეგალურ საქმიანობას მოუჭრის გზას.

მეოთხე, მუნიციპალური ინსპექციის მიერ სისტემატიურად განხორციელდეს პატრულირება და სამართალდარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში გამოიყენოს კანონით დაწესებული საჯარიმო სახდელები.

შეკითხვა დასვა:

ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ მუნიციპალურ სასაფლაოზე არსებული საფლავების ხანდაზმულობის შესახებ.

ბ-ნი ნ. რაზმაძის განმარტებით, ყველაზე ძველია 70-80 წლის წინათ გაჭრილი საფლავები.

აზრი გამოთქვეს:

ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ, თვითნებურად გაჭრილი საფლავებიდან, სახელმწიფოს ხარჯზე, უპატრონო მიცვალებულების მუნიციპალურ სასაფლაოზე გადასვენების შესახებ. ბ-ნი ერ. კუხიანიძის, აზრით, იმ შემთხვევაში, თუ მიცვალებულის გადასვენების პროცედურების დაწყებისას გამოვლინდება ჭირისუფალი, შესაძლებელი გახდება თვითნებურად გაჭრილი საფლავის, როგორც უკანონო მშენებლობის მწარმოებლის დადგენა და კანონით გათვალისწინებული სახდელის დაკისრება ჯარიმის სახით, რაც მსგავსი ფაქტების შემცირება-აღმოფხვრას შეუწყობს ხელს. გარდა ამისა, როდესაც მოსახლეობას ეცოდინება, რომ მსგავსი საქმიანობის განხორციელებისთვის დაჯარიმდება 25 000 ლარით, მაქსიმალურად შეიკავებენ თავს თვითნებობისგან. ასევე, საჭიროა გადაწყდეს, თვითნებურად მოწყობილი სასაფლაოს შემდგომი ბედი - დროულად უნდა გაირკვეს, შეურთდება თუ არა მოქმედ სასაფლაოს.

ბ-ნმა გ. ბაგრატიონის აზრით, ჯერ საჭიროა მიმდებარე ტერიტორიის მოსახლეობას სასაფლაოზე მიცვალებულების დაკრძალვის უფლება მიეცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში პრობლემა არ მოგვარდება.

ბ-ნმა გ. ტყემალაძემ მიმართა შპს „ჰერმესის“ დირექტორს ბ-ნ ნ. რაზმაძეს და სთხოვა, პირველ რიგში, მათ იურისდიქციაში სასაფლაოს მოქცევის მიზნით გეგმა-გრაფიკის შედგენა და სასაფლაოს სტატუსის განსაზღვრა; შემდეგ, საფლავისა და სარიტუალო მომსახურების ფასის დაწესების მიზნით სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრა.

ბ-ნი გ. ტყემალაძის აზრით, სასაფლაოს უნდა დარჩეს სოფლის სასაფლაოს სტატუსი და სასაფლაოს მომსახურებით ისარგებლონ სოფ. თხინვალას მაცხოვრებლებმა. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარეობს მიმდებარე ტერიტორიების განაშენიანება და ასევე, მოქმედი სოფლის სასაფლაოს რესურსი მალე ამოიწურება, საჭიროა მოიძებნოს ალტერნატიული ვარიანტი, სასაფლაოს გაფართოების ან ახალი სასაფლაოს მოსაწყობად.

ბ-ნის ნ. რაზმაძის განმარტებით, სასაფლაოს ტერიტორიაზე შპს „ჰერმესის“ იურისდიქციის გასავრცელებლად შესაძლებელია მოძრავი შემადგენლობის დადგმა, თუმცა, მხოლოდ ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებით პრობლემა ვერ მოგვარდება და საჭიროა სათანადო სამართლებრივი დახმარება. კერძოდ, შპს „ჰერმესს“

შექმნილი აქვს შიდა მონიტორინგის სამსახური, რომელიც სასაფლაოებზე აწარმოებს მონიტორინგს, აღრიცხვას და უკანონოდ მოწყობილი საფლავების გამოვლენას, მაგრამ მათ არ აქვთ ჯარიმის დაკისრების უფლება. შესაბამისად, შესაძლებლობის ფარგლებში, საჭიროა განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება და მონიტორინგის თანამშრომლებს გადაეცეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისა და ადმინისტრაციული სახდელის - ჯარიმის დაკისრების უფლებამოსილება.

ბ-ნი გ. ტყემალაძე დაინტერესდა ახალი სასაფლაოს მოსაწყობად შესაბამისი ტერიტორიის მოძიების საკითხითაც.

ბ-ნი ნ. რაზმაძის ინფორმაციით, სოფლის სასაფლაოს მიმდებარედ არის ტერიტორია, მაგრამ შედის მცხეთის მუნიციპალიტეტის საზღვრებში. სხვა მიწის ნაკვეთები ან კერძო საკუთრებაშია ან რელიეფურად რთული მისადგომია და სასაფლაოს მოსაწყობად გამოუსადეგარი.

ბ-ნმა დ. კვინიკაძემ (ვაკის რაიონის გამგებლის მოადგილე) დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ აღნიშნული პრობლემა ვაკის რაიონის გამგეობისთვის ცნობილია და მიმდინარეობს პრობლემის გადაწყვეტის გზების, მათ შორის, ახალი სასაფლაოსთვის შესაბამისი ტერიტორიის ძიება. რამდენიმე წლის წინ კერძო სასაფლაოს მოწყობის მცდელობა იყო, მაგრამ ადგილობრივმა მოსახლეობამ სასამართლოს მეშვეობით მოიგო საქმე და კერძო პირს სასაფლაოს მოწყობის უფლება არ მისცა.

ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ შემაჯამებელი წინადადებით მიმართა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ გარდა სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და შემოთავაზებული წინადადებებისა, საჭიროა ვაკის რაიონის გამგეობის, შპს „ჰერმესის“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის ხელმძღვანელი პირები, ასევე, კომისიისა და საკრებულოს წევრები მოსახლეობას შეხვდნენ ადგილზე.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს“ მიერ 2018 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიშის შესახებ

დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ვ. ლომჯარიამ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორი).

მომხსენებლის (ვ. ლომჯარიას) მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2018 წლის განმავლობაში სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

1. საანგარიშო პერიოდში, სააგენტოში შესული 37 570 შეტყობინებიდან, რეაგირება მოახდინა 12 591 შეტყობინებაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წელთან შედარებით

შეტყობინებების რაოდენობა გაზრდილია 17%-ით, რაც მოსახლეობის ჩართულობასა და მათ ინფორმირებულობაზე მეტყველებს. ძირითადად, შეტყობინების საფუძველზე, გამოძახებები ხორციელდებოდა ძაღლებისა და ლეკვების გადაყვანაზე (მთლიანი რაოდენობის 83,5%), შემდეგ, უფრო მეტი რეაგირება განხორციელდა კატებისა და კნუტების თაობაზე შემოსულ შეტყობინებაზე და ასევე, მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის საკითხებთან დაკავშირებით.

2. თავშესაფარში გადაყვანილ იქნა 8 641 ცხოველი, მათ შორის, შინაური პირუტყვიც.

3. სააგენტოს ახალმა მენეჯმენტმა ძირითადი აქცენტი თავშესაფრის გაძლიერებაზე გააკეთა. გაიზარდა ვეტერინარების, ფერშლების, სანიტარული დამლაგებლებისა და კინოლოგების რაოდენობა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა თავშესაფრის პროდუქტიულობა. 2 საოპერაციო მაგიდას დაემატა კიდევ 1 საოპერაციო მაგიდა და ახლა მოქმედებს 3 საოპერაციო მაგიდა; ასევე, მოეწყო ახალი, თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი საოპერაციო ბლოკი. საოპერაციოებში დამონტაჟდა ბაქტერიოციდული ნათურები; მკაცრად კონტროლდება ქირურგიული ხელსაწყოების სტერილიზაციის პროცესი.

4. ჩატარდა 4 696 სტერილიზაცია/კასტრაციის ოპერაცია. პრიორიტეტი მიენიჭა სტერილიზაციას, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ შემცირდა კასტრაციის ოპერაციები. ძირითადად, ცხოველთა პოპულაციის ეფექტიანად მართვისთვის, შედეგის მომცემია მდედრი ძაღლის სტერილიზაცია. ხოლო, კასტრაციას კარგი შედეგი აქვს, როდესაც მიზნად არის დასახული ხროვის დაშლა და ცხოველში აგრესიის შემცირება. თავშესაფარში ჩატარებული ოპერაციების ჯამური რაოდენობა შეადგენს 4 754-ს. საშუალოდ დღეში ერთი ქირურგი ატარებს 20 ოპერაციას.

5. ცხოველთა ანტირაბიული ვაქცინაცია - თავშესაფარში აიცრა 5 304 ცხოველი. გარდა ცხოველებისა, სააგენტო, ააიპ თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალურ ცენტრთან თანამშრომლობით, იწყებს თანამშრომელთა სავალდებულო ანტირაბიულ ვაქცინაციას და სავალდებულო გახდა სააგენტოს იმ თანამშრომელთა ანტირაბიული აცრა, რომლებსაც აქტიური კონტაქტი აქვთ ცხოველებთან (მაშველები, დამჭერები, ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფრის თანამშრომლები). აღნიშნული პროფილაქტიკური აცრები, სამომავლოდ, შეამცირებს ცოფით დაავადების რისკს.

6. თავშესაფარში ვიზიტორთა რაოდენობა საანგარიშო პერიოდში შეადგენს 799-ს. ვიზიტორთათვის კომფორტული გარემოს შექმნის მიზნით, მაღალხარისხიანი სადეზინფექციო ხსნარით მუშავდება თავშესაფრის პერიმეტრი - ვოლიერები, საკარანტინო, სამედიცინო სივრცე, მიმღები და ეზოს ტერიტორია; გაიზარდა სანიტარული დამლაგებლების რაოდენობა; თავშესაფარში თითოეული ცხოველის გადმოყვანისთანავე ტარდება ავტომანქანების დეზინფექცია.

7. თავშესაფარმა პირველადი და ქირურგიული დახმარება გაუწია 1 163 ტრავმირებულ ცხოველს.

8. ცხოველთა ევთანაზიის პოლიტიკა - შემუშავდა და თავშესაფარში დაინერგა ევროპული სტანდარტების შესაბამისი ცხოველების ევთანაზიის პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც ევთანაზიის გადაწყვეტილების მიღება დადგენილი ალგორითმის მეშვეობით ხდება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 967 ევთანაზია, ბუნებრივი სიკვდილი დაფიქსირდა - 1, თავშესაფრიდან გასული ცხოველების რაოდენობა - 5 864.

ბ-ნი ვ. ლომჯარიას განმარტებით, მუნიციპალურ თავშესაფარში ან/და ოპერაციის დროს ცხოველის სიკვდილის შემთხვევაში ტარდება ექსპერტიზა, რის საფუძველზეც დგინდება სიკვდილის მიზეზი.

9. საანგარიშო პერიოდში თავშესაფრიდან გაჩუქდა 709 ცხოველი. სააგენტომ დანერგა კარდაკარ გაჩუქების პროგრამა, რაც ითვალისწინებს მოსახლეობასთან ადგილზე მისვლას და ცხოველების ფოტო-სურათების გაცნობით, მათთვის პატრონის შერჩევას. თუმცა, იმის გამო, რომ ავტომობილების რაოდენობა შეზღუდულია და ასევე, საწვავის ფასი გაზრდილია, ამ ეტაპზე აღნიშნული პროგრამა აქტიურ რეჟიმში ვერ ხორციელდება.

10. 1346 ცხოველი იქნა მიკედლებით გაშვებული თავშესაფრიდან. ბინადრობის არეალში დაბრუნდა 3 521 ცხოველი. პატრონს დაუბრუნდა 130 ცხოველი. განხორციელდა 323 ცხოველის იდენტიფიცირა. მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირდა 407 ცხოველი.

11. სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, დაჭერილ იქნა 478 ქვეწარმავალი და რეპელენტით დამუშავდა 880 ობიექტი. თუმცა, ტერიტორიის რეპელენტით დამუშავება არ იძლევა იმის 100%-იან გარანტიას, რომ ქვეწარმავალი არ დაუბრუნდება პირვანდელ საცხოვრებელ გარემოს.

ბ-ნმა ვ. ლომჯარიამ აღნიშნა, რომ ქვეწარმავლებზე შესული შეტყობინებების რაოდენობის მატება, ძირითადად, შეინიშნება ივნისი-აგვისტოს პერიოდში, ხოლო ამინდის შეცვლის (ტემპერატურის კლების) შემდეგ, გამოძახების რაოდენობაც იკლებს.

12. 5 ამორტიზებული სატრანსპორტო საშუალება ჩანაცვლდა ახალი ავტომობილებით. თუმცა დღის წესრიგში მაინც დგას საწვავისა და ავტომობილების პრობლემა.

13. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 420 სამაშველო ოპერაცია. სამაშველო ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით, ბ-ნმა ვ. ლომჯარიამ აღნიშნა, რომ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მაშველებმა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სამმართველოს ბაზაზე მომზადების ინტენსიური კურსი გაიარეს. წვრთნები ფიზიკურ მომზადებასთან ერთად, თეორიულ სწავლებასაც მოიცავდა. სამაშველო ეკიპაჟების წვრთნები ოთხ ეტაპად ჩატარდა და ჯამში, 44 თანამშრომელი გადამზადდა. მაშველების გადამზადება მიმდინარე წელსაც გაგრძელდება.

14. ცხოველების მოვლა-პატრონობის და პირუტყვის ყოლის წესების შესრულების მონიტორინგის ფარგლებში, მოსახლეობისა და ცხოველების უსაფრთხოების ნორმების დაცვის, ძაღლების გასეირნების წესებისა და დედაქალაქში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის მოწესრიგება-გაუმჯობესების მიზნით, სააგენტოს მიერ სპეციალურად გადამზადებული თანამშრომლების მიერ ხორციელდებოდა პატრულირება დედაქალაქის სკვერებში, პარკებში და ქუჩებში. შედეგად, საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა 260 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი. შესაბამისად, შედგენილია 260 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი - საჯარიმო ქვითარი (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილებით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით).

ბ-ნი ვ. ლომჯარიას მიერ წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაციით, სააგენტო აქტიურად მუშაობს საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირებებზე. ამ ეტაპზე, საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში და ცხოველების მიმართ ჩადენილი სასტიკი მოპყრობისთვის დაწესებული სასჯელი გამკაცრდა. ასევე, ცვლილება შევიდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლის მიხედვითაც, არასრულწოვანთა მიერ ცხოველებთან მიმართებაში ჩადენილი დანაშაულის გამოვლენისას, ადმინისტრაციული სახდელი დაეკისრება მშობელს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სააგენტო აპირებს საკრებულოში განსახილველად წარმოადგინოს ცხოველების მოვლა-პატრონობის და პირუტყვის ყოლის წესებში განსახორციელებელი ცვლილებების პაკეტი, რათა გადაიხედოს დღეს მოქმედი ჯარიმის ოდენობა, რაც პირველად ჩადენილი სამართალდარღვევის შემთხვევაში, შეადგენს 8 ლარს. საჯარიმო სახდელების გაზრდის აუცილებლობის დასაბუთების მიზნით, მომხსენებელმა მაგალითად მოიყვანა, საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებით, მცხეთიდან კერძო პირის მიერ დედაქალაქის ცენტრალურ უბანში 4 ცხენის შემოყვანის ფაქტი. აღნიშნული პირის რამდეჯერმე დაჯარიმიების მიუხედავად, მსხვილფეხა პირუტყვის (ცხენების) აკრძალულ ტერიტორიაზე ყოფნის ფაქტი არ აღმოფხვრილა, რადგან კერძო პირისთვის აღნიშნული 4 ცხენი წარმოადგენდა შემოსავლის წყაროს და დაჯარიმების მიუხედავად იგი სარგებელს უფრო მეტს იღებდა, ვიდრე ჯარიმის ოდენობა იყო.

15. სააგენტომ მიუსაფარი ძაღლებისთვის 3 საკვები აპარატი დადგა. აპარატები რიყის პარკში, ვერის ბაღსა და ვეტერანთა კულტურისა და დასვენების (კიკვიძის) პარკში განთავსდა. სამწუხაროდ, დაფიქსირდა 1 ვანდალიზმის ფაქტი (მოქალაქის მიერ დაზიანდა 1 აპარატი).

16. სააგენტომ მიუსაფარი ძაღლებისათვის თბილისის ქუჩებში ხის სახლების დადგმა დაიწყო. პირველ ეტაპზე სახლები 10 ლოკაციაზე განთავსდა.

17. მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლების კამპანიის ფარგლებში, სააგენტომ თბილისის საჯარო სკოლებში საინფორმაციო-შემეცნებითი გაკვეთილების ჩატარება დაიწყო. გაკვეთილების ჩატარების მიზანია შინაური ცხოველების მიმართ, მოსწავლეებში ემპათიისა და ჰუმანური განწყობა-დამოკიდებულებების ჩამოყალიბება.

მომხსენებლის (ვ. ლომჯარია) მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, სხდომა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

შეკითხვა დასვა:

ბ-ნმა ლ. ჟორჟოლიანმა:

- ვეტ.ექიმების შრომის ანაზღაურებისა და მათთვის მატერიალური წახალისების ფორმის (ჯილდოს) გამოყენების შესახებ.
- მიმკედლების უფლება-ვალდებულებების შესახებ.
- ურბანული გარემოდან თავშესაფარში გადაყვანილი ცხოველის ისევ ურბანულ გარემოში დაბრუნების თაობაზე. დასმულ შეკითხვასთან დაკავშირებით, ბ-ნმა ლ. ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ კომისიამ გასულ წელს განიხილა უპატრონო ძაღლებთან დაკავშირებული საკითხები, სადაც ერთ-ერთ პრობლემად დასახელდა აგრესიული ცხოველის (ძაღლის) თავშესაფარში გადაყვანის შემდეგ, დაინტერესებული პირის (პატრონის, მიმკედლებლის) ოფიციალური მოთხოვნის საფუძველზე პირვანდელ გარემოში დაბრუნება, რამაც საფრთხე შეუქმნა ადგილობრივ მოსახლეობას.

დასმულ შეკითხვებს უპასუხა ბ-ნმა ვ. ლომჯარიამ, რომლის განმარტებით, ვეტ.ექიმებს გაეზარდათ შრომითი ანაზღაურება (ხელფასი) და ასევე, ექიმების მიერ ჩატარებული ოპერაციების რაოდენობის, ხარისხისა და სირთულის შესაბამისად ხდება ფულადი წახალისების ფორმის (ჯილდო) გამოყენება.

მეორე შეკითხვასთან დაკავშირებით, ბ-ნი ვ. ლომჯარიას ინფორმაციით, მუნიციპალურ თავშესაფარში გადაყვანილ ცხოველს აკვირდება შესაბამისი სპეციალისტი (კინოლოგი). დაკვირვების დროს ვლინდება ცხოველის აგრესიულობის ხარისხი და გამომწვევი მიზეზი. თუ ცხოველის აგრესიულობა გამოწვეულია შიშით, მაშინ მისი კორექტირება ხდება და მხოლოდ შესაბამისი მუშაობის შემდეგ ცხოველი უბრუნდება პირვანდელ საცხოვრებელ გარემოს. ხოლო თუ დადგინდება რომ ცხოველის აგრესიულობა გამოწვეულია ფსიქიკური დარღვევებით, შესაბამისი პროცედურების დაცვით, ცხოველს უტარდება ევთანაზია.

იმ შემთხვევაში, თუ მიმკედლებლის მოთხოვნის საფუძველზე პირვანდელ გარემოში დაბრუნებული ცხოველი განმეორებით გამოავლენს აგრესიას (რაც ძალიან იშვიათია), ცხოველი მიმკედლებელს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუბრუნდება, თუ დადგინდება რომ მისი აგრესია არ გამომდინარეობს ფსიქიკური დარღვევებიდან და მიმკედლებელი ოფიციალურად იჩუქებს ძაღლს - დარეგისტრირდება როგორც ძაღლის პატრონი.

მოქმედი სამართლებრივი ნორმებით, მიმკედლებლის პასუხისმგებლობა მხოლოდ ცხოველის ვეტერინარული მომსახურების განხორციელებითა და კვება-დაწყურების უზრუნველყოფით, ასევე მიკედლებულ ცხოველთან დაკავშირებით დაინტერესებული პირისათვის საჭირო ინფორმაციის გაცემით შემოიფარგლება, განსხვავებით პატრონისა, რომელიც, ცხოველის მიერ მიყენებულ ზიანს ანაზღაურებს კერძო სამართლით დადგენილი ნორმებით.

აზრი გამოთქვა:

ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ - მიუსაფარი ძაღლებისთვის 3 საკვები აპარატის თაობაზე და აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე აპარატი საკვებს იძლევა პოლიეთილენის ბოთლის სანაცვლოდ. თუ აპარატებიდან საკვების გაცემაზე დაწესდება განსაზღვრული საფასური, ეს, თუნდაც, ამ აპარატების ექსპლუატაციის ხარჯებს აანაზღაურებს.

ბ-ნმა ვ. ლომჯარიამ განმარტა, რომ საფასურის დაწესების შემთხვევაში მოიმატებს აპარატების დაზიანების რისკი.

დაბოლოს, ბ-ნმა ვ. ლომჯარიამ აღნიშნა, რომ სააგენტოს ფუნქციების ეფექტიანად განხორციელებისა და მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სასურველია სააგენტოს დაფინანსება გაიზარდოს შესაძლებლობის ფარგლებში, მედიკამენტებისა და ავტომობილების საწვავის შეძენის მიზნით. მედიკამენტების დაფინანსების მატება გაზრდიდა ოპერაციების რაოდენობას, რაც ისევ ცხოველთა პოპულაციის მართვისა და საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მეტი შედეგის მომტანი იქნება.

კომისიამ ცნობად მიიღო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს“ მიერ 2018 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ერეკლე კუხიანიძე